

ე. ჯ. ლეონიძე

# ხორბაზე ჩრდოლე

გაკურ სულაპაულის  
გამოგვევლება






სებასტიანს, არცონისა და სემს,  
შავილრას, კასპიანსა და ჩაიანს,  
კლემ ჩავიჩსა და სარა ბეინონს



## თავი პირველი

### ხოჭოების თავისასხმა



— საკვირაო გაზეთები მოვიტანე, — გამოაცხადა ბერტოლტმა, მხრით შემოაღო ბიძია მაქსის კარი და უკუსვლით შემოფრატუნდა სასტუმრო ოთახში. ღრუბელივით ფუმფულა თეთრ თმაზე თავისი საუკეთესო მეგობარი, სპილენძისფერი ციცინათელა, სახელად ნიუტონი დაჰარფარფატებდა და აბდომენს ნაზად აციმციმებდა.

დარკუსმა და ვირჯინიამ აიხედეს. ფეხმორთხმით უსხდნენ მუხის ქერქის მულჩით<sup>1</sup> და გორაკივით აკოკოლავებული ფინჯნებით სავსე საბავშვო გასაბერ აუზს. დარკუსს ლოს-ანჯელესში ნაყიდი იველ კნიველის<sup>2</sup> ნარწერიანი მაისური ეცვა, ვირჯინიას — გახუნებული ჯინსი და მეორადი ტანსაცმლის მაღაზიაში ნაყიდი სამკერდე ნიშნებით დახუნძლული ქურთუკი.

— ჩვენ კი ხოჭოებს ვკვებავთ, — შეაგება დარკუსმა, რომელიც მარწყვის უელეს ფინჯნებში ანაწილებდა.

<sup>1</sup> დამპალი ჩალა, ნახერხი, ფოთლები და ა.შ. ნიადაგის დასაფარავად

<sup>2</sup> იველ კნიველი — განთქმული ამერიკელი ტრიუკების ოსტატი, რომელიც სარისკო ტრიუკებს ასრულებდა მოტოციკლით.



აქ ბინადრობდნენ ის ხოჭოები, რომლებიც ხოჭოების მთიდან გადარჩნენ. ბიძია მაქსის ამავე ოთახში მოათავსეს ბავშვების საბაზო ბანაკის ნაშთები. აქ ხვდებოდნენ ერთმანეთს და გეგმავდნენ, როგორ შეეშალათ ხელი ლუკრეცია კატერის დესპოტური ჩანაფიქრისთვის – დაემონებინა მსოფლიო.

შავი, პრიალა, მარტორქა ხოჭო, რომელსაც ყველაზე უკეთ ესმოდა დარკუსისა, ბიჭის მხარიდან მჯდარი ადევნებდა თვალ-ყურს ჟელეს განაწილებას და წაწვეტებული წინა ფეხების სავსავით ანიშნებდა, რომელ ფინჯანში უნდა ჩაესხა.

ვირჯინიას თითბრის სანამავი მოემარჯვებინა, გამალებით ამუშავებდა ტუმბოს და მუხის ქერქის მულჩას ნამავდა, რათა არ გამომშრალიყო. მრავალთაგან ერთ ნაწნავზე მსუქანი ფეხებით ჩაბლაუჭებოდა ალუბლისფერი, ბაყაყისფეხება ფოთლის ხოჭო მარვინი და ბანანის ჟელეს წვეთს შეექცეოდა.

დარკუსმა ხელებიდან მულჩა ჩამოიბერტყა, წამოდგა და ყავის მაგიდასთან მივიდა, რომელზეც ბერტოლტი კოხტად ალაგებდა გაზეთებს. ვირჯინიამაც სანამავი იატაკზე დადგა და ბიჭებს შეუერთდა.

– ისევ წერენ, ხოჭოები ყანებს შეესივნენო, აი, უყურეთ: აქ ამბობენ, რუსეთში კოლორადოს ხოჭო კარტოფილის მოსავალს ანადგურებსო. ხალხმა უკვე დაიჯერა, რაც კინოდაჯილდოებაზე თქვა ლუკრეცია კატერმა და პანიკაც დაიწყო, – ბერტოლტმა სათვალე ცხვირზე აინია და ნერვიულად შეხედა დარკუსს, – უკვე გერმანიაშიც ნადგურდება ხორბლის მოსავალი, ყანებში ნაკულის შეტანამაც სამ ქვეყანაში გამოიწვია სნეულების ეპიდემია. მთავრობამ დაასკვნა, კონტროლირებადი და მიზანმიმართული თავდასხმაა.

დარკუსი მაგიდისკენ წავიდა, რომ გაზეთებისთვის დაეხედა, მაგრამ მასა და მაგიდას შორის ბერტოლტი იდგა.

– და... მმ... დარკუს, კიდევ ერთი რაღაც...

ვირჯინიამ ერთი გაზეთი აიტაცა და სტატიის სათაური წაიკითხა:

– „ხოჭოების თავდახმა! სურსათის ნაკლებობა!“ – ხელი დაჰკრა ფურცელს და თაფლისფერი თვალები სწრაფად გადაავლო ნანერს: – რაო? არ მჯერა! შურნალისტების აზრით, ლუკრეცია კატერის მუქარა მართლაც რეალურია, მაგრამ არ სჯერათ, რომ ურჩხული ხოჭოების შექმნა შეუძლია, რაკი კაბების დიზაინით ორჩენს თავს!

დარკუსმა მხრები აიჩეჩა:

– ეგებ იმის დაჯერება არ უნდათ, რომ მწერების მართვის გზას მიაგნო.

– ეგ რა შუაშია?! – ჩაიფრუტუნა ვირჯინიამ, – იმიტომ არ სჯერათ, რომ ქალია.

– ვირჯინია... – ბერტოლტმა სცადა, თვალი თვალში გაეყარა გოგოსთვის.

– ხალხს მუდამ ჰგონია, რომ ყველაზე კარგი მეცნიერები მაინც-დამაინც კაცები არიან, – ხელი დაჰკრა გაზეთს გაცხარებულმა ვირჯინიამ, – აბა, მოუსმინეთ... „იდუმალებით მოცული კოლეოპტერისტი, დოქტორი ბართოლომე ქათლი – ბუნების იტორიის მუზეუმის მეცნიერების დირექტორი და ოდესალაც ლუკრეცია კატერის საქმრო – სათავეში უდგას გენეტიკოსთა და ენტომოლოგთა გუნდს – ადამიანებს, რომლებიც ბოლო ხუთი წელია, გაურკვეველ ვითარებაში გაუჩინარდნენ. ეს ელიტარული ძალა შეძლილი დიზაინერის ხოჭოთა არმიის უკან დგას და ლუკრეცია კატერის თვალშისაცემ ფიგურას იყენებს იმისათვის, რათა მსოფლიოს შეუტიოს“.

– რაო? – ხელიდან გამოსტაცა დარკუსმა გაზეთი და თვალი გადაავლო, – ეგ ხომ ტყუილია! მამაზე ამას რატომ ამბობენ?!

– იმიტომ, რომ კაცია, – ნიშნისმოგებით მოახსენა ვირჯინიამ.

ბერტოლტმა ამოიოხრა და თავი გააქნია.

– ხოჭოების ამბავს აბრალებენ! ყველანი! – დარკუსი სწრაფად კითხულობდა სტატიას, – ტყუილია! ყველას უნდა ვუთხრათ! მამა იმ ქალის შეჩერებას ცდილობს!

— დარკუს, — წყნარად მიმართა ბერტოლტმა, — იმიტომ ამბობენ, რომ მამაშენი ლუკრეცია კატერის სტუმარი იყო კინოდაჯილდოებაზე, — სხვა გაზეთი აიღო, — შეხედე, „დეილი მესენჯერიც“ ამას წერს: „სავარაუდოა, რომ მომაკვდინებელ ხოჭოთა შემოსევის ფარული ხელმძღვანელი დოქტორი ბართოლომე ქათლია, რომელიც ლუკრეცია კატერს ახლდა კინოდაჯილდოებაზე.“

— ეგ ხომ სრული სიცრუეა! — დარკუსმა იგრძნო, რომ სახე აუვარვარდა, — მტკნარი სიცრუე! მამაჩემი თავის დღეში არავის არაფერს დაუშავებს.

— საზიზღრობაა! — თავი დაუქნია ვირჯინიამ, — ლუკრეცია კატერის გენია მამაკაცთა გუნდს მიაწერეს.

— გენია? — იყვირა დარკუსმა, — ის ქალი გენიოსი არ არის.

— გენიოსია, მაშ, ვინ არის! — არ შეეპუა ვირჯინია, — ხოჭოების ვეებერთელა არმია შექმნა, რომელიც სურსათის მთელ მარაგს ანადგურებს და, სადაცაა, მთელ პლანეტას დაეპატრონება. დაუჯერებელია. დღემდე არც ერთი ადამიანი არ გამხდარა მსოფლიოს მბრძანებელი, ის კი ცდილობს. დიდი ადამიანია! — თავი გააქნია და დარკუს შეხედა, — ნუ დარდობ, ბოლოს მაინც აღიარებენ, რომ ამ საქმეს სწორედ იმ ქალის გენია აკეთებს.

— გენიოსი არ არის-მეთქი! — იყვირა დარკუსმა და ვირჯინიას თითი ატაკა, — გენიოსი კი არა, ურჩხულია! უნდა, რომ ხალხი აშიმშილოს და დამნაშავედ მამაჩემი გამოიყვანოს. ნახეთ, რა დამართა ნოვაკს და, თუგინდ, სპენსერს!

— კარგი, დაწყნარდი, — მოიღუშა ვირჯინია, — ის კი არ მითქვამს, ვეთანხმები, რასაც აკეთებს-მეთქი.

— რა ვიცი, ასე კი გამოგივიდა და... — დაუბლვირა დარკუსმა. ვირჯინიამ თავი ასწია და შეპასუხება დააპირა.

— გეყოფათ, — ყელი ჩაიწმინდა ბერტოლტმა, — ერთმანეთს ნუ წავეკიდებით, — და ორივეს მუდარით გაულიმა, — ჩვენ ხომ ერთ საქმეს ვაკეთებთ, დაგავიწყდათ?

ვირჯინიამ ხმამაღლა ამოიხვნება:

– უკაცრავად! უნდა მეთქვა, ბოროტი გენიოსია-მეთქი, – მხრებანურულმა შეხედა დარკუსს, – უბრალოდ, ვცდილობ, გაგაგებინოთ, რომ ლუკრეცია კატერს სერიოზულად არ აღიქ-ვამენ, – გაზეთებს ხელი წაჰკრა და მაგიდაზე გააპნია, – მამაშენის დადანაშაულება ნიშნავს, რომ მცდარი გზით მიდიან და ამიტომ იმ ქალს ვერც იპოვიან და ვერც გააჩერებენ.

– მე ძალიანაც სერიოზულად აღვიქვამ, – მიუგო დარკუსმა.

თერთმეტი დღე გავიდა, რაც კინოდაჯილდოებიდან დაბრუნდნენ, არადა, დარკუსისთვის ეს თერთმეტი დღე წლების ტოლფა-სი იყო. სულ თვალწინ ედგა ჰოლივუდის თეატრის ნივნივებში ლუკრეცია კატერის უკან კოჭლობით ამავალი მამა – ლამლამობით ძილის წინაც ამას ხედავდა და დილაობითაც გალვიძებისთანავე ეს სურათი წარმოუდგებოდა თვალწინ.

უცებ ხმამაღალი ჭახანი გაისმა და სამივე შეხტა.

– რა იყო? – ცოტა არ იყოს, შეშინდა ბერტოლტი.

ვირჯინიამ ფანჯრისკენ ანიშნა. სასტუმრო ოთახის ფანჯრის მინას წვრილი ბზარი აჩნდა.

დარკუსმა ფრთხილად დაიჩოქა დივანზე, საზურგეს მიეყრდნო და ქუჩაში გადაიხედა. გზის მოპირდაპირე მხარეს რობი იდგა, თავშითელა ჩხუბისთავი, და გარშემო იმ ბიჭების მთელი გუნდი ეხვია, კლონებს რომ ეძახდნენ. დარკუსმა ფანჯარა გააღო.

– ჰეი, ხოჭო ბიჭო! – ამოცყვირა რობიმ, – მამაშენს უთხარი, თუ იმ შენს მკვლელ ხოჭოებს არ გააჩერებ, შვილს დაგიჩეჩქვავთ-თქო.

– ეგრე ვიზამთ! – ერთხმად შესძახეს კლონებმაც; მერე ყველამ ცალი ხელით მუშტი შეკრა და მეორე ხელზე დაიხათქუნა.

– ეგ ხოჭოები მამაჩემის არ არიან, – გასძახა დარკუსმა, – მამა-ჩემი არაფერ შუაშია.

– უი, მართლა? – დასცინა რობიმ, – გაზეთებში რომ სხვანაირად წერია? ამბობენ, მკვლელიაო, – და ყელზე თითო გაისვა, – ჰოდა, ალბათ სპეციალურად მამაშენისთვის ხელახლა შემოიღებენ სიკვდილით დასჯას.

– ტყუილი წერია! – იყვირა დარკუსმა, – ერთი სიტყვაც კი არ არის მართალი.

– ჰო? რახან შენ იტყვი, არა?! – გაიკრიჭა რობი და კბილებზე ბრეკეტები აუციმციმდა, – მე ხომ ნანახი მყავს შენი დიდრონი ხოჭოები. ყველას ნანახი გვყავს, – კლონებმა თავი დააკანტურეს, – ჰოდა, პოლიციასაც მოვახსენეთ, რომ ახირებული ხალხი ხართ და ხოჭოებს ელაპარაკებით. გაზეთებში სრული სიმართლე წერია. ვიცი, რომ ეგრეა და ამ სიტყვიდან არ გადავალ, – რობიმ ელვისებურად მოიქნია ხელი და მუჭში ჩამალული ქვა გამოსტყორცნა.

დარკუსმა ლოყაში ნესტარივით მწვავე ჩხვლეტა იგრძნო. ხელი მიიფარა და თავი უკან გამოსწინა.

– უი, სისხლი მოგდის, – ბერტოლტმა ფრთხილად ჩამოაშვებინა ხელი, რომ ჭრილობა ენახა.

– შენც ყოფას გიტირებ, ხოჭო ბიჭო და და მამაშენსაც! – მოისმა გარედან.

– ყურადღებას ნუ მიაქცევ, – და ვირჯინიამ ის იყო, ფანჯარა მიხურა, რომ ზედ ქვების რაკარუკი ატყდა. გოგომ სწრაფად ჩამოაფარა ფარდა.

– როგორ არ მივაქციო ყურადღება? – დარკუსმა მოუთმენლად მოიშორა აფორიაქებული ბერტოლტის ხელები, – ისინიც იმას ამბობენ, რასაც ყველა. ხალხს სჯერა, რასაც გაზეთებში კითხულობს. ყველას მამაჩემი ჰერნია დამნაშავე.

ვირჯინიამ და ბერტოლტმა ერთმანეთს გადახედეს. უხერხული სიჩუმე ჩამოვარდა. სირენების კივილი გაისმა და თანდათან მოახლოვდა. ბერტოლტმა ფანჯარასთან მიირბინა, ფარდებში გაიჭყიტა და ამოიგმინა:

– პოლიცია! ორი მანქანა გაჩერდა დიეტურ მაღაზიასთან. გადმოდიან. რა ვქნათ?

– აქ ვერ შემოვუშვებთ, – დაფეთდა დარკუსი, – ხოჭოები არ უნდა ნახონ. მამაჩემის დანაშაულის დამამტკიცებელ საბუთად ჩათვლიან.

– აქ ვერც შემოვლენ, თუ ჩხრეკის ორდერი არა აქვთ, – გაახ-სენდა ვირჯინიას, – ტელევიზორში მინახავს. უთხარი, ბიძაჩემი გასულია და უცხოებს კარს ვერ გავუდებ-თქო.

– კარგი, – თავი დაუქნია დარკუსმა, – მაგრამ მამაზე ტყუ-ილს არ ვიტყვი. ხალხმა უნდა იცოდეს, რომ ლუკრეცია კატერის შეჩერებას ცდილობს და კარგი ადამიანია.

– ვერა, დარკუს, მაგას ვერ იტყვი, – შეეპასუხა ბერტოლტი, – მამაშენს უნდა, რომ ლუკრეცია კატერს თავისი მომხრე ეგონოს, თორემ...

ზარი დაირეკა.

დარკუსმა ჰოლში გაიხედა. სულ იმის მოლოდინში იყო, კარს შემოანგრევენო.

– უსამართლობაა, – წაიბუტბუტა ბიჭმა.

– ვიცი, – თავი დაუქნია ვირჯინიამ და ალერსიანად შეანათა მუქი თვალები, – მაგრამ ჩვენ ხომ ვიცით სიმართლე, – და თავზე სიყვარულით მოუთათუნა ხელი.

– მამასაც ვიპოვი, – მუშტები შეკრა დარკუსმა, – ლუკრეცია კატერსაც შევაჩერებ და გაზეთებსაც ბოდიშს მოვახდევინებ, თანაც პირველ გვერდზე, დიდი ასოებით, – მის მხარზე მჯდარმა ბაქსტერმა ელიტრა გაშალა, მერე ისევ დაკეცა და თანხმობის ნიშნად ნაზი ფრთები ააშრიალა.

– ჩვენც გვერდით დაგიდგებით, – დააიმედა ბერტოლტმა.

– ყოველ ფეხის ნაბიჯზე, – დაამატა ვირჯინიამ.

## თავი მეორე

### გალაფნენა



ბართოლომე ქათლს სახეზე ჯვალოს ტომარა ჰქონდა ჩამოცმული და იოფლებოდა. ოფლის წვეთი ობოლი ცრემლივით ჩამოუგორდა ლოყაზე. ისე სცხელოდა, სული ეხუთებოდა, მაგრამ მაინც უხაროდა, რომ ტომარა სახეს უფარავდა: ლუკრეცია კატერი და მისი ავაზაკები ვერ ხედავდნენ, რომ გაფაციცებული ცდილობდა, რაღაც ნიშნებით მიმხვდარიყო, სად მიჰყავდათ.

სანამ მზე ანათებდა, ბართი შვეულმფრენში მსხდართა სილუეტებს არჩევდა, მაგრამ ერთი საათის წინ ყველაფერი განაცრისფრდა. ლითონის სახურავზე წვიმა ისე აკაკუნებდა, თითქს გაუთავებლად აცვივა კენჭებიო. ასეთ თავსხმაში ფრენა უხილაო არ იყო: კოკისპირულ წვიმაში ხედვა გაუარესებულია.

„ალბათ, ბიომს ვუახლოვდებით“, – გაიფიქრა და წინ გადაიხარა.

ბართის გონებაში მკაფიოდ ჰქონდა ალბეჭდილი, ვინ სად იჯდა. ფრანგი მსახური უერარდი – კაბინაში, სასტიკი მძლოლის, ლინ-ლინის გვერდით, რომელიც შვეულმფრენს მართავდა; ბანდიტები მის წინა რიგში ისხდნენ, უერარდისა და ლინ-ლინისაგან

ზურგშექცევით; პირველი კრეივენი იყო, მის გვერდით დანკისი ჩაზღართანებულიყო, მერე კი მაულინგის ჩაჯირკვული სილუეტი ჩანდა. ბართის შარვლის ტოტზე დროდადრო წეტიანი, ქიტინური ფეხები ეხახუნებოდა, ჰოდა, აბა, რა დაავინყებდა, რომ გვერდით ლუკრეცია ეჯდა. ხოჭოების თვითგამოცხადებული დედოფლის მეორე მხრიდან ჩქამიც არ ისმოდა.

„იქ ალბათ ნოვაკიზის. საწყალი გოგო, ალბათ, რა შეშინებულია“, – გაიფიქრა და თავის თავს მერამდენედ ჰკითხა, ნეტავ ჩემს ვაჟს, დარკუსს როგორ დაუმეგობრდაო. დარკუსმა სთხოვა, მიხედო, და დაპირება უნდა შეესრულებინა.

ლუკრეცია გაცეცხლდა, როცა კინოდაჯილდოება ჩაიშალა და ქაოსად იქცა. გაუჭირდა ბართის დაჯერება, როცა იგი კოჭლობით აჰყვა ჰოლივუდის თეატრის სახურავზე და გამოუცხადა, შენ გამო მივატოვე ჩემი შვილი და შენს თვალთახედვას ვიზიარებო, მაგრამ ისე უნდოდა ერწმუნა მისი, რომ გულმა ვერ გაუძლო. მერე დაემუქრა: ხომ იცი, შემიძლია, თვალის დახამხამებაში მოგკლაო, და უერარდს უბრძანა, ხელები შეუკარი და თავზე ტომარა ჩამოაცვიო.

დაახლოებით ოთხი საათი იფრინეს და პირველად შეისვენეს. კრეივენი შემოუერთდათ, რომელმაც ის-ის იყო, ამერიკის ხორბლის სარტყელს გენეტიკურად მოდიფიცირებული გრძელცხვირა ხოჭოები შეუსია. სანამ შვეულმფრენში საწვავს ასხამდნენ, უერარდმა ბართის ტომარა მოხადა და წყალი დაალევინა, მერე წამით აბრას გახედა, რომელსაც „ალბუკერკე“ ეწერა, ტომარა ჩამოაცვა და კვლავ ჰაერში ავიდნენ.

შვეულმფრენს ყოველ ოთხ საათში ერთხელ სჭირდებოდა საწვავის ჩასხმა. ბართი მთელი ღამის განმავლობაში ცდილობდა, გონებაში უჩუმრად გაეაზრებინა მარშრუტი. მზის ჩასვლა-ამოსვლამ მიახვედრა, რომ სამხრეთისკენ ეჭირათ გეზი. მესამედ რომ შეჩერდნენ, კრეივენმა ხელის კვრით ჩაიყვანა შვეულმფრენიდან, შენობაში შეიყვანა და ოთახში შეუშვა. ტომარა რომ მოხადეს, ბართი სადად მორთულ საძინებელში აღმოჩნდა.

ჟერარდმა გააღვიძა, ყავა, ხილი და ფუნთუშა მოუტანა და შეატყობინა, მალე გავალთო. ბართი მიხვდა, მეხიკოს მახლობლად იყვნენ. შვეულმფრენისკენ რომ მიჰყავდათ თავზე ტომარაჩამოც-მული, ესპანურ ლაპარაკს მოჰკრა ყური.

– მრავალ შობას დაესწარი, საყვარელო, – უთხრა ლუკრეცია კატერმა, როცა ბართი შვეულმფრენში ავიდა.

ბართის გული მოეწურა, გაიფიქრა, შობადღეს დარკუსი მარ-ტოდმარტოაო, მაგრამ არ შეიმჩნია.

კიდევ სამჯერ გაჩერდნენ და საწვავი ჩაასხეს, სანამ ისევ რომე-ლიღაც ოთახში შეიყვანდნენ დასაძინებლად. ამჯერად ორ დღეს დარჩნენ მიწაზე, ქარიშხლის გადავლას ელოდნენ. როცა ისევ ჩას-ხდნენ შვეულმფრენში, ლუკრეცია კატერს ჰქოთხა, რატომ თვით-მფირნავით არ მიფრინავო. ქალმა მიუგო, რახან მსოფლიოს ლიდე-რებს ომი გამოვუცხადე, ჯობს აეროპორტებს ვერიდო: ყველაზე გავლენიანი და საშიში ხალხი მთელ პლანეტაზე დამეძებსო.

ახლა თითქოს მოგზაურობის ბოლო მოანკვეთს გადიოდნენ. შვეულმფრენი რომ დაეშვა, ბართიმ თვალები დახუჭა. სიბნელეში თავისი შავთვალა ბიჭი ელოდა, მკერდზე საყვარელი მარტორქა ხოჭო მიეკრა. ბართიმ უხმოდ დალოცა მამაცი შვილი და ტომარა-ჩამოცმული თავი ლუკრეცია კატერისკენ მიატრიალა.

– ლუსი, მადლობა უნდა გადაგიხადო, – იგრძნო, ლუკრეცია კატერმა თავი მისკენ მოაბრუნა. ატყობდა, ქალის ყველაზე დიდი სისუსტე ის ნაზი გრძნობა იყო, უნივერსიტეტის ნლებიდან რომ შემორჩენოდა მისდამი, და გადაწყვიტა, ამ გრძნობით მაქსიმალუ-რად ესარგებლა, რათა ლუკრეციას ნდობა მოეპოვებინა და გაეგო, რისი გაგებაც უნდოდა; გაერკვია, რა ხერხით შეიძლებოდა მისი იმპერიის დანგრევა და გეგმების ჩაფუშვა, – შენ ხომ მომავლის შენეული, დიდებული ხედვის მონაწილედ მაქციე.

– აჲ, ბართოლომე, – მიუგო ქალმა, – ცოტა ხანში ნახავ, რომ ყველაზე გიუურ ოცნებებს აგიხდენ, ამისთვის კი „მადლობა“ ძალიან ცოტაა.